ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის ოქმი #46

14 აგვისტო, 2020 წელი
15:00 საათი
(ჯანდაცვის კომისიის ოთახი)

ა/წ 14 აგვისტოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.
სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე;
2. გიორგი დოხტურიშვილი;
3. მიხეილ ამაშუკელი;
4. ნინო ლაცაბიძე;
5. გიორგი მუსხელიშვილი;
6. ვლადიმერ ძნელაძე.

მოწვეული სტუმრები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ჯანდაცვის პროგრამების განყოფილების უფროსი-ნათია ვერძაძე.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.
გიორგი ბირბიჩაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი. კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: ინფორმაცია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე.

პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ამტკიცებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესსა (შემდგომში წესი) და „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისიის“ დებულებას (შემდგომში დებულება).

პროექტის პირველი მუხლით მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ (კოდი: 06 02 09) ქვეპროგრამის განხორციელების წესი, რომელიც განსაზღვრავს აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების პირობებს.

წესის მე-2 მუხლში მოცემულია წესში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება, რაც ერთგვარ ცვლილებას წარმოადგენს მოქმედ რედაქციასთან მიმართებით. წესში ასევე დაკონკრეტდა, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში შესაძლებელია სამედიცინო მომსახურების, რომელიც მოიცავს სამედიცინო მომსახურებას საქართველოში და სამედიცინო მომსახურებას საზღვარგარეთ და სხვა საჭიროების დაფინანსებას, რა თავის მხრივ გულისხმობს მედიკამენტებსა და მედიკამენტებისგან განსხვავებული სამედიცინო საჭიროების დაფინანსების შესაძლებლობას.

წესის თანახმად, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოსარგებლე პირები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც კომისიისათვის განცხადებით მიმართვამდე 6 თვით ადრე მაინც, რეგისტირებულნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, აღნიშნული კრიტერიუმი არ ვრცელდება ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ (ს/ნ 406153111) ბენეფიციარებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებზე, რომელთაც ქვეპრორგამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარმოებულ „დევნილთა მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი.

წარმოდგენილ რედაქციაში ასევე დაკონკრეტდა ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მიღებისათვის, როგორც მიმწოდებლის ასევე დაფინანსების მიღების სურვილის მქონე პირის მიერ სამსახურისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, ამ მხრივ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ პროცედურის გამარტივების მიზნით, საქართველოში სამედიცინო მომსახურების მიღების სურვილის მქონე პირმა/მისმა კანონიერმა წარმოამდგენელმა სამსახურს მატერიალური ფორმით აღარ უნდა წარუდგინოს მიმწოდებლის მიერ გაცემული მოთხოვნის ფორმა.

წესის მე-5 მუხლი განსაზღვრავს განცხადების განხილვისა და დაფინანსების პროცედურებს, რომლის თანახმადაც, სამედიცინო მომსახურებისა და სხვა საჭიროების დაფინანსების თაობაზე მოსარგებლე პირის მოთხოვნას განიხილავს კომისია და იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების შესახებ რეკომენდაციის გაცემის,მისი მოცულობისა და დაფინანსების არ გაცემის შესახებ. მოსარგებლე პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის განცხადების/მიმწოდებლის მიერ მოდულის მეშვეობით წარმოდგენილი მოთხოვნის მიღების შემდგომ, სამსახური შეისწავლის წარმოდგენილ ინფორმაციას, რის შემდეგადაც დგინდება პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის ფაქტი, განსაზღვრული პრიორიტეტულობა, საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამისა და კერძო დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების საკითხი და წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულე, შედეგად, სამსახური იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას: განცხადების კომისიისათვის განსახილველად გადაცემის შესახებ, განცხადების ხარვეზის გამოსწორების ვადის დადგენის შესახებ თუ წარმოდგენილი

დოკუმენტაცია არ არის სრული ან წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეუძლებელია დადგინდეს კრიტერიუმებთან შესაბამისობა და განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ. განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძვლებთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებების თანახმად, განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც რამდენიმე აქტიური მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში მათი ჯამური ღირებულება არ აღემატება 1000 (ათასი) ლარს, გარდა იმ შემთხვევისა თუ: თითოეული აქტიური მოთხოვნა 1000 (ათასი) ლარზე ნაკლებია, მაგრამ ერთი და იმავე მიმწოდებლის მიერაა ატვირთული ან აქტიური მოთხოვნები სხვადასხვა მიმწოდებლის მიერაა ატვირტული, მაგრამ მათგან ერთი მაინც აღემატება 1000 (ათასი) ლარს, ასევე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს თუ სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისას საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის თანადაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემდეგ დარჩენილი თანხა არ აღემატება 1000 (ათასი) ლარს. აღნიშნული დათქმა არ ვრცელდება ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის" (ს/ნ 406153111) ბენეფიციარებსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იმ პირებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ რეგისტრაციის კონკრეტული მისამართი. განხილვაზე უარის თქმის საფუძელს ასევე წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც წარმოდგენილ ფორმა №IV-100/ა-ში პირს უფიქსირდება დიაგნოზი „პრაქტიკულად ჯანმრთელი", რაც გამომდინარეობს ქვეპროგრამის მიზნებიდან.

დაფინანსების მოთხოვნის ადმინისტრირების კუთხით, წესში განისაზღვრა , რომ სამედიცინო მომსახურების დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გააქტიურება უნდა მოხდეს მისი მიღებიდან 60 (სამოცი) დღის, ხოლო გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გააქტიურება უნდა მოხდეს მისი მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განამავლობაში, ასევე განისაზღვრა, რომ მიმწოდებლის მიერ გაცემული მოთხოვნის ფორმა ძალაშია მისი გაცემიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

წესის მე-7 მუხლი ადგენს დაფინანსების მოცულობას და განსაზღვრავს პრიორიტეტულ ჯგუფებს. მიმწოდებლისათვის თანხის ანაზღაურების მუხლში დაკონკრეტდა, რომ საქართველოს ფარგლებში არსებული სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს წარმოდგენა უნდა განხორციელდეს თვის პირველიდან 11 რიცხვამდე, მომსახურების სრულად მიწოდების საანგარიშგებო თვის მომდევნო ორი თვის განმავლობაში ასევე განისაზღვრა, რომ საქართველოს ფარგლებში არსებული მიმწოდებლის მიერ ანგარიშგებისას წარმოდგენილი უნდა იქნეს, როგორც ჩაშლილი ასევე დაჯამებული ანგარიშფაქტურა.

დადგენილების მე-2 მუხლით მტკიცდება „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისიის" დებულება, რომლის თანახმადაც, დგინდება რომ კომისია თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის, „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 09) განხორციელების წესის" და აღნიშნული დებულების შესაბამისად. კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, რომელიც ხელმძღვანელობს კომისიის საქმიანობას, იწვევს და უძღვებაკომისიის სხდომებს, ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმს, დავალებებს აძლევს კომისიის წევრებს,აკონტროლებს კომისიის სხდომების დღის წესრიგის და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას და ასევე ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

დებულებით ასევე განისაზღვრება კომისიის შემადგენლობა და კომისიის სხდომის გამართვისა თუ გადაწყვეტილების მიღების წესებს. დებულება ასევე უთითებს, რომ კომისიის

საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური.

დადგენილებით ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის №15-49 დადგენილება.

პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

აღნიშნული ქვეპროგრამების დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით.

წარმოდგენილი ცვლილება დადებითად შეაფასა და დაეთანხმა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

<u>კომისიამ დაადგინა</u>

წარმოდგენილი პროექტები განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე